

სამინისტრომ შეისწავლა ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრში ქონების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და დაადგინა შემდეგი: 2020 წლის 9-10 თებერვალს განვითარებული უჩვეულო ყინვების შედეგად სერიოზული ზიანი მიაღება ციტრუსოვანთა ბაღებს. ყინვების საზიანო მოქმედება განსაკუთრებით აქტიური იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბლობ ზონებში ზღვის დონიდან 50 მეტრის სიმაღლემდე, მათ შორის ჩაქვის მდინარისპირა კალაპოტში და მიმდებარე ტერიტორიებზე. აღსანიშნავია, რომ ამ ზონისათვის მიწის 10 და 11 გრადუსი ყინვა ბოლო 20-25 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა, რის შედეგადაც ციტრუსოვანთა მცენარეებიდან განსაკუთრებით ლიმონის, ფორთოხლისა და გრეიპფრუტის, ასევე მანდარინის ზოგიერთი ჯიშები და ხე მცენარეებიდან ევკალიპტებიც კი ძლიერ დაზიანდა. რაც შეეხება ა(ა)იპ „აგრო სერვის“ ცენტრის ჩაქვის ციტრუსოვანთა სადედესადემონსტრაციო, სანერგე მეურნეობაში განვითარებული ყინვის საზიანო მოქმედებას, განსხვავებით გასული წლების ჩვეულებრივი მოვლენისა (-4°, -5°) ანომალური ხასიათის იყო, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კონკრეტულ ლოკაციაზე პირველად დაფიქსირდა მიწის 11,8 გრადუსი ყინვა, ჩაქვის ციტრუსების სანერგე-სადემონსტრაციო მეურნეობის ოფისთან არსებული მეტეოსადგურისა და ქობულეთის გვარას ვაზისა და ხეხილის სანერგესადემონსტრაციო მეურნეობის ოფისთან არსებული მეტეო სადგურების მიერ, დილის 4 საათიდან 8 საათამდე შუალედში ერთდროულად დაფიქსირდა მიწის 11,8 გრადუსი ტემპერატურა. ინვერსიული ყინვის საზიანო მოქმედების ხარისხი მკვეთრად მაშინ ვლინდება, როდესაც ყინვისწინა პერიოდი შედარებით რბილითბილი დღეებით ხასიათდება, ასეთ დროს მარადმწვანე ფოთლოვანი ხე და ნახევრადხე მცენარეების ჭურჭელ-ბოჭკოვან ქსოვილებში, მიუხედავად მათი მოსვენებითი ფაზისა, მაინც მიმდინარეობს მცირე ასიმილაციური პროცესები, როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი მიმართულებით, სწორედ ამ დროს ტემპერატურის უეცარი დაცემა იწვევს ლაფნის ქსოვილების დაზიანებას. ამ დროს გასატარებელი პირდაპირი ღონისძიებებიდან დასაკვამლიანებელი საშუალებების (ნამჯის, ან ხმელი ბალახისა და ნახერხის ნაზავი) გამოყენება არასაკმარისი აღმოჩნდა, ვინაიდან იმ სიტუაციაში პასუხისმგებელ პირთა მიერ, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული ყინვის სიძლიერე და მოქმედების ხანგრძლივობა, რათა დამატებით განმეორებითი ჯერადობით განხორციელებულიყო დაკვამლიანება. აქედან გამომდინარე, მოყინვის საწინააღმდეგოდ გამოყენებული ტრადიციული აპრობირებული მეთოდი (დაკვამლიანება) ნაკლებ ეფექტური აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ჩაქვის ციტრუსების სანერგესადემონსტრაციო მეურნეობის ფუნქციონირება 2011-2012 წლების შემოდგომაგაზაფხულის პერიოდში ინტროდუცირებული ციტრუსოვანთა სხვადასხვა სახეობისა და ჯიშების კულტურების გაშენებით დაიწყო. გაშენების წლებიდან 2020 წლის 9-10 თებერვლამდე 7 წლის განმავლობაში ვარჯის ჩამოყალიბებისა და შესაბამისი ზრდა-განვითარების, მსხმოიარობაში შესვლისა და ეტაპობრივად სრულმსხმოიარობაში შესვლის მიმართულებით არანაირი შეფერხების წინაპირობები არ დაფიქსირებულა, შესაბამისად გასატარებელი აგროტექნიკური ღონისძიებები (რიგთაშორისების დამუშავება, ნაკლებყინვაგამძლე (ლიმონები) კულტურების სპეციალური ქსოვილით შეფუთვა დასხვა) იგეგმებოდა კონკრეტულ სიტუაციაში არსებული კლიმატური ფაქტორების გათვალისწინებით. ამ კულტურების ზრდა-განვითარებას 4 წლის განმავლობაში ბათუმის

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში დაკვირვებებს აწარმოებდნენ დარგის მეცნიერკონსულტანტები, რაზედაც მომზადებულია შესაბამისი ანგარიშები. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აღნიშნულ ნაკვეთზე (სადაც ყინვის ყველაზე ძლიერი ზემოქმედება დაფიქსირდა) ძირითადად გაშენებული იყო სხვადასხვა სახეობის გრეიფრუტები, კურკიანი და სამრეწველო დანიშნულებისათვის გამოსაყენებელი ფორთოხლები, კერძოდ მეორე, მესამე და მეხუთე კვარტალში ფორთოხლები 4 ჯიში, გრეიპრუტი 4 ჯიში და მანდარინი სამრეწველო გადამუშავების 4 ჯიში, სულ გაშენებული იყო 1975 ძირი, რომელთაგან მიღებული მოსავალის რეალიზება წლების განმავლობაში გაძნელებული იყო ბაზრის ნაკლებად დაინტერესებულობის გამო, ამის გათვალისწინებით 2018 წელს აგროსერვის ცენტრის შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით, რიგი ტექნიკური და სამრეწველო დანიშნულების გრეიფრუტებისა და ფორთოხლების ნარგავების გადაცემა განხორციელდა სხვა დაინტერესებულ კომპანიებზე და ქალაქ ბათუმის გამწვანებაზე სულ 308 ძირის ოდენობით, რომლებიც გაშენდა ქობულეთში, ბათუმის შემოსასვლელი ცენტრარული გზის გასწვრივ, ახალი ბულვარის ტერიტორიებზე და სხვა ადგილებში, სადაც ზღვის თბილი კლიმატის სიახლოვის გამო აღნიშნულ მცენარეებზე 9-10 თებერვლის ძლიერი ყინვის ზემოქმედება არცერთ ნარგავზე უარყოფითად არ დაფიქსირებულა. ამჟამად, ყინვების შემდგომ გადარჩენილი ნარგავის არსებული მდგომარეობა შემდეგნაირად ფორმულირდება: 2011 წელს გაშენებული ე.წ იაპონურ ნაკვეთში არსებული მანდარინის 6243 ძირი ნარგავიდან (11იაპონური ჯიში) 5 ბალიანი შკალის შეფასებით მაქსიმალური დაზიანების ხარისხით სრულიად გამხმარია 310 ძირი, ყველაზე მეტად დაზიანდა ჯიში მიაგავა, ცენტრალური ოფისის მიმდებარე ნაკვეთებზე განთავსებული ნარგავებიდან (გაშენების პერიოდი 2012 წელი სულ 3033 ძირი), შეფასების 5 ბალიანი ხარისხით გამხმარია 732 ძირი, სულ თავდაპირველად არსებული 9276 ძირი ნარგავიდან ძლიერი ყინვის შედეგად დაზიანდა (გახმა) 1042 ძირი, ადგილზე გადარჩა 8234 ძირი. დასკვნის სახით ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში თავის დროზე შერჩეული და ინტროდუცირებული ციტრუსოვანთა კულტურების სახეობები და ჯიშები ყინვა გამძლეობის თვალსაზრისით იმ პარამეტრებს აკმაყოფილებდნენ, რაც ზოგადად ციტრუსოვნებისთვისაა წაყენებული, ხოლო კონკრეტულ სიტუაციაში მიწუს 10-11 გრადუსით ტემპერატურის დაცემა სუბტროპიკული ზონისათვის ანომალური ხასიათისაა, რაც შემდგომში საჭიროებს სისტემატიურ მეტეოროლოგიურ კონტროლს და შესაბამის საპრევენციო ღონისძიებების დაგეგმვა-გატარებას, აქვე შეიძლება ითქვას, რომ ძლიერი ყინვის ლოკალური მოქმედების პირობებში დადებითი ტენდენციებიც გამოიკვეთა, საკუთრივ ციტრუსოვნების სახეობებსა და ჯიშების შიგნით აღმოჩნდა ცალკეული ეგზემპლარები, რომლებმაც გაუძლო ძლიერ ყინვას, რაც იძლევა იმის წინაპირობას, რომ შემდგომში გასამრავლებლად საჭირო საკალმე მასალის აღებისათვის, სწორედ ასეთი მცენარეები იქნება გამოყენებული, შესაბამისად სარგავ მასალაზე ფერმერთა მომართვიანობის მხრიდან, ნაკვეთების გაშენების მსურველებზე მიწოდებული იქნება სწორი ინფორმაცია ყინვამედეგი ჯიშების გაშენებისათვის ვარგისი მიკროზონების გამოსავლენად, რაც ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის აგრარულ მიმართულებებში ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციისა და ვალდებულებების განმსაზღვრელია. მოყინვის შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებზე დარგის მეცნიერებთან კონსულტაციის შემდეგ დეპარტამენტში მომზადდა სარეკომენდაციო წერილი და სახელმძღვანელოდ გადაეგზავნათ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრს“. საკუთრივ ა(ა)იპ „აგრო სერვის“ ცენტრის

ხელმძღვანელობამ გვაცნობა, რომ აღნიშნული ციტრუსოვანთა კულტურებისა და მოსახლეობის მიერ მოთხოვნილი ციტრუსოვანთა ნერგებით უზრუნველყოფის გათვალისწინებით სანერგე მეურნეობაში წარმოებულია 30 000 ძირზე მეტი ნერგი, რაც სრულად იძლევა იმის წინაპირობას, რომ საკუთარი ნერგით აღადგენილი იქნას ამორტიზირებული ნარგაობა და დაკმაყოფილდეს ფერმერთა მოთხოვნებიც. ამავე ლოკაციაზე არსებული წვეთოვანი სარწყავი სისტემის გაუმართაობა ძირითადად გამოწვეული იყო მარეგულირებელი სისტემის შიდა ბლოკის მწყობრიდან გამოსვლით (წარმოებული იყო ისრაელში), რომლის ჩანაცვლება ვერ განხორციელდა ანალოგიურის ბაზარზე არ არსებობის გამო, ასევე პლანტაციის შიგნით მიწის ზემოთ არსებული წვეთოვანი მილები ხშირად ზიანდებოდა მღრნელებისგან, რაც აფერხებდა ნორმალური რწყვის რეჟიმებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ადგილზე არსებული რესურსების მცირე ტექნიკური ცვლილების გამოყენებით სრულად იქნა აღდგენილი სარწყავი სისტემა და ამჟამად გამართულად ფუნქციონირებს. რაც შეეხება ა(ა)იპ „აგრო სერვის“ ცენტრის ბალანსზე რიცხული სასათბურე პარკში 7 სათბურის დაზიანებასთან დაკავშირებით - აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ა(ა)იპ „აგრო სერვის“ ცენტრის მიერ მოსალოდნელი ამინდის გაუარესების გამო მობილიზირებული იყო როგორც ადამიანური რესურსი, ასევე ტექნიკა (ამის შესახებ იხსენება ფოტო და ვიდეო მასალა) და ნალექის მატებასთან ერთად დაიწყო გადმოთოვლის სამუშაოები. ვინაიდან, მიმდინარე წლის 9 თებერვალს რეგიონში მოსულმა უხვმა ნალექმა, ნალექის სიმაღლემ რამოდენიმე საათში შეადგინა 40-50 სანტიმეტრი, ასევე მაღალი იყო ტენიანობა, ტემპერატურა კი -5 გრადუსამდე მერყეობდა და მაღალი იყო ქარის სიჩქარეც, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომ ყოველი სათბურის შიგნით განხორციელებულიყო დაკვამლიანება, აღნიშნულმა ქმედებამ განაპირობა პოლიეთილენის ფირზე არსებული ახალმოსული თოვლის თანდათანობით დაცურება, რის შედეგადაც თოვლისაგან გათავისუფლდა სათბურები. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ „აგრო სერვის“ მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად 50 სათბურიდან უვნებელი გადარჩა 43 სათბური. ასევე მხედველობაში მისაღებია, რომ სათბურების მშენებელ კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება სასათბურე ფირისა და კონსტრუქციის მდგრადობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ დაწყებულია სასამართლო დავა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით.